საბაკალავრო პროგრამის დასახელება: Turkology/თურქოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: **BA in Oriental Studies**/აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი/
სწავლების დარგი- თურქოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: რვა სემესტრი (240 კრედიტი) საბაკალავრო პროგრამაში 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 120 კრედიტი - ძირითადი სპეციალობა;
- 50 კრედიტი - საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინები;
- 60 კრედიტი - დამატებითი სპეციალობა;
- 10 კრედიტი - ე.წ. თავისუფალი კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება რა უნივერსიტეტის მისიას ემსახურება მისი მიზნების განხორციელებას, კერძოდ - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტუტრული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწვლას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითრებას.

თურქეთისა და თურქული ენის წარსულისა და თანამედროვე მდგომარების კვლევა მრავალმხრივ საინტერესოა დღევანდელ პირობებში როგორც გეოპოლიტიკური, ისე კულტურულ–ისტორიული და ლინგვისტურ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. ეს ინტერესი განსაკუთრებულია ქართველურ სამყაროში, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური და ენობრივ–კულტურული ურთიერთობა ჰქონდა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ისტორიულად და ახლა

მცხოვრებ ხალხებთან. სწორედ ეს განაპირობებს თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანს: დამწყებ თურქოლოგს მისცეს საბაზისო ცოდნა თურქეთის ისტორაში, თურქული ენობრივი სისტემებისა და ლიტერატურის ისტორიაში, კულტურასა და რელიგიაში; აზიაროს იგი ქართული თურქოლოლოგიური სკოლის ძირითად მიღწევებს და მოამზადოს ამ სახელოვანი ტრადიციების გასაგრძელებლად. ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ტრადიციებთან ერთად, პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, თურქოლოგიის დარგში სწავლებისა და კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.

პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ აღმოსავლეთმცოდნეობის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპების, კონცეპტების და ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლების ცოდნა. (ფილოსოფიის შესავალი)

- საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპების, ფაქტებისა და მოვლენების მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში ცოდნა. (საქართველოს ისტორია)

- აკადემიური წერის ძირითადი ტენდენციების ცოდნა. (აკადემიური წერა)

- აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად თურქოლოგიასა და თურქოლოგიური სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე თურქოლოგიის განვითარების მნიშვნელობაზე ქართველოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კვლევისთვის.(თურქულ ენათა შესწავლის შესავალი; აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი; მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგია).

- თურქულ ენათა სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში გარკვევა, საერთო ნიშნების ცოდნა. ლინგვისტური კომპარატივისტიკის ამოსავალი დებულებების ცოდნა დაწყებით უნარების დონეზე, თურქული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა; კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი. (თურქული ენა, ენათმეცნიერების შესავალი ,ზოგადი ენათმეცნიერება, თურქულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები, თურქულ ენათა შესწავლის შესავალი).

- თურუქლ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით B2 დონის შესაბამისი ცოდნის ფლობა, რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული

ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვის და წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის ცოდნას. (თურქული ენა); სათარჯიმნო პრაქტიკუმი თურქულში).

- ისლამის როგორც რელიგიის და სოციალური ინსტიტუტის ისტორიის ზოგადი კურსის ცოდნა. ისლამში რელიგიურ ვალდებულებებისა და თეოლოგიური დოქტრინების, შუა საუკუნეების და თანამედროვე ისლამის ისტორიის საბაზისო ცოდნა. ზოგადი წარმოდგენა ისლამური სახელმწიფოს კონცეფციასა და ისლამურ მოძრაობებზე. (ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია); ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია; აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები; ბიბლიის შესავალი 1, 2 ; ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი).

- თურქეთის რესპუბლიკის შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის ზოგადი კურსის და თურქული ისტორიოგრაფიის საბაზისო ცოდნა; თურქების ადგილისა და როლის გააზრების უნარი ახლო აღმოსავლეთისა და ზოგადად მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. თურქეთის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება; თანამედროვე აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა (თურქეთის ისტორია (შუა საუკუნეები); თურქეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი) ; თურქეთის თანამედროვე მდგომარეობა; ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია; ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები); ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები; აღმოსავლური კულტურა; ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (XVI-XVIII სს.).

- საქართველოსა და თურქეთის ისტორიული და დღევანდელი ურთიერთობების ცოდნა; ისლამური ფაქტორის გათვალისწინების უნარი ამ ურთიერთობებში; საქართველოს შესახებ თურქული წყაროების (ისტორიული, გეოგრაფიული ხასიათის) ზოგადინფორმაციული ცოდნა. (თურქეთის ისტორია (შუა საუკუნეები); ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია); ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები; ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები); აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი; აღმოსავლური კულტურა; საქართველოს ისტორია; ისლამური აღმოსავლეთის ხელოვნება და საქართველო).

- თურქული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ათვისება თანამედროვე თურუქლი ლიტერატურის ჩათვლით. თურქული ფოლკლორის ჟანრული კლასიფიკაციისა და ფოლკლორული ნიმუშების შესახებ ინფორმაციული ცოდნა. ფოლკლორისა და შუა საუკუნეების თურუქლი ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა

და თავისებურებებზე წარმოდგენა; თურქული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევა; მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის ადეკვატური გაგება, რაც ეფუძნება ენის გამომსახველობითი საშუალებებისა და სტილისტიკური ხერხების თეორიულ ცოდნას და მათი ოპერირების პრაქტიკულ უნარს. (ძველი თურუქლი ლიტერატურის ისტორია; ახალი თურუქლი ლიტერატურის ისტორია; უახლესი თურუქლი ლიტერატურის ისტორია; ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია; შედარებითი მითოლოგია (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური და ქართული მითოლოგია); ოსმალური ენა 1,2)

- თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. მხატვრული თარგმანის სპეციფიკაზე წარმოდგენის შექმნა. თურქულიდან ქართულად და ქართულიდან თურქულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება; თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარება; ზეპირი და წერითი თარგმანის ტექნიკის დაწყებითი უნარების განვითარება; სათარგმნ ენასთან ერთად ქართული ენის ცოდნის სრულყოფა (პრაქტიკული გრამატიკა, ფუნქციური სტილისტიკა). (თურქულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა ; სათარჯიმნო პრაქტიკუმი თურქულში ; ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 1, 2; აკადემიური წერა ; თურუქლი ენა 6;7).

- თურქულ-ქართული კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) შესახებ ინფორმაცია, ენათა ინტერფერენციის პრობლემებზე და ლექსიკური სესხების პროცესებზე ზოგადი წარმოდგენა; ქართულში თურქიზმების დამკვიდრების შესახებ ძირითადი ინფორმაცია; ქართულში თურუქლი ლექსიკური ნასესხობების ფონეტიკური და სემანტიკური ტრანსფორმაციების შესახებ საბაზისო ცოდნა, მათი თვისებრივი მაჩვენებლების გამოყოფის უნარი. ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდებზე ზოგადი წარმოდგენა. ლიტერატურული კონტაქტების გენეზისისა და განვითარების ზოგადი ისტორიის საბაზისო ცოდნა. შუა საუკუნეების თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ წარმოდგენა. (აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი; აღმოსავლური კულტურა; ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1, 2; ქართული სახისმეტყველება; „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში; ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 1,2).

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გამოტანა და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება. (ფილოსოფიის შესავალი).

- ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება /არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა. (აკადემიური წერა).

- საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა ინგლისურ ენაზე. ერთ–ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის. (ინგლისური ენა; რომელიმე სხვა ევროპული ენა).

- ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის. (ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენა).

- ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და ანალიზი. (საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი).

- ძირითადი ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად. (ენათმეცნიერების შესავალი).

- თურქული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები. თურქულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების გარკვევით გადმოცემის უნარი;თურუქლი ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი. (თურუქლი ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7; სათარჯიმნო პრაქტიკუმი თურქულში ; თარგმანის თეორია და პრაქტიკა).

- საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირების, რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი. (თურუქული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7; თურუქლიდან ქართულად თარგმანის თეორია და

პრაქტიკა; თურუქლ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები; ოსმალური ენა 1,2,; ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები; ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 1, 2).

- სათარჯიმნო ბიუროების ტიპიური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების თურქულიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები. (თურქული ენა; სათარჯიმნო პრაქტიკუმი; თარგმანის თეორია და პრაქტიკა).

- პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-რელიგიურ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში. ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. (აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი; თურქულ ენათა შესწავლის შესავალი; თურუქლი ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, ; ენათმეცნიერების შესავალი ; ზოგადი ენათმეცნიერება ; ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია); თურქეთის ისტორია (შუა საუკუნეები);თურქეთის ისტორია (ახალი და უახლესი); თურქეთის თანამაედროვე მდგომარეობა ; ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია; თურქულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა; ძველი თურქული ლიტერატურის ისტორია ; ახალი თურქული ლიტერატურის ისტორია; უაზლესი თურქული ლიტერატურის ისტორია; ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია; თურქულ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები; ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები; ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები); ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); აღმოსავლური კულტურა; აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები და პროგრამის სხვა არჩევითი დისციპლინები)
-

დასკვნის უნარი:

- დარგობლივ სფეროში ანალიტიკური უნარის გამომუშავება. არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის და სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. მოპოვებული ან/და მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასების, არგუმენტირებისა და სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი:

- ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა, მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა.

- თურქულ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა; საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში სპეციალობის ენის (თურქულის) საკომუნიკაციო ფუნქციით ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი

სწავლის უნარი:

- სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; სიტუაციაში ადაპტირების და სამუშაოს დაწყებამდე შესასრულებელი გეგმის შედგენის უნარი, პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვა, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლისათვის საჭირო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები:

- კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.
- სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

დასაქმების სფეროები:

თურქოლოგი ბაკალავრი მომზადებულია სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებული იქნება თურქოლოგიაში ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: *თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის* ***ასოცირებული პროფესორი ელისაბედ ბჟალავა***

დამატებითი ინფორმაცია:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს დამატებითი სპეციალობის არჩევისას რეკომენდაცია ეძლევა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ყურადღება შეაჩეროს ისტორიის, ქართული ფილოლოგიის, პედაგოგიკის დამატებით პროგრამებზე; ასევე სასურველია სოციალ-პოლიტიკური პროფილის დამატებითი პროგრამების, ეკონომიკის ფაკულტეტიდან კი ტურიზმისა და მასპინძლობის ეტიკეტის დამატებითი პროგრამის აღება. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება თურქოლოგიის ძირითად პროგრამასთან უფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და აძლევს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი მარიკა ჯიქი
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი ირმა რატიანი
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი ნათელა ქუთელია
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი რევაზ გორდეზიანი
5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი ლელა ხაჩიძე
6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი ეკა ავალიანი
7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ელისაბედ ბჟალავა
8. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნანი გელოვანი
9. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მირიან მახარაძე
10. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი თინათინ ბოლქვაძე
11. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნესტან სულავა
12. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ირინა კოშორიძე
13. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარინა ფუთურიძე
14. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან კაკიტელაშვილი

15. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მალხაზ ქვრივიშვილი
16. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მამუკა ბუცხრიკიძე
17. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ინგა სანიკიძე
18. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან სხირტლაძე
19. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ნანული კაჭარავა
20. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ლორთქიფანიძე
21. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი თამარ ალფენიძე

მოწვეული პედაგოგები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ირინე გოცირიძე
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნანა ჯანაშია
3. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნუნუ გურგენიძე
4. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ელიდა კვანტალიანი
5. პროფესორი დოქტორი- რევაზ სირაძე
6. მარინე ყუშიტაშვილი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას. თურქოლოგიის განყოფილების კუთვნილი ორი აუდიტორია (104-ე და 105-ე თსუ Vკორპუსში) აღჭურვილია სასწავლო აუდიო/ვიდეო საშუალებებით (მაგნიტოფონი, აუდიო კასეტები, კომპიუტერი, ინტერნეტი, კომპაქტ-დისკები, ტელევიზორი, სატელიტური ანტება); ბიბლიოთეკით, რომელიც სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველწლიურად განიცდის განახლებას თურქეთის რესპუბლიკის საელჩოდან მიღებული სახელმძღვანელოების, სამეცნიერო გამოცემების და პერიოდული პრესის სახით.

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორები უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებულობას ყოველწლიური გაცვლითი პროგრამების შესახებ:

- **თურქოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ენობრივი პრაქტიკა საქრთველოში თურქეთის საელჩოსა და თურქეთის განათლების სამინისტროს ეგიდით 1999 წლიდან ხორციელდება თურქოლოგის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გაგზავნა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან თურქული ენის საზაფხულო სკოლებში. სტუდენტთა ამგვარი სტაჟირებები რეგულარულ ხასიათს ატარებს, ყოველწლიურად 6-7 სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიემგზავრება 2 თვიანი სტაჟირებით ენის საზაფხულო სკოლებში (სტდენტის მიერ განაცხადში მითითებულ ქალქაში) სადაც ენობრივ პრაქტიკასთან ერთად კულტურული პროგრამის მონაწილეც ხდება – ათვალიერებს თურქული კულტურის ძეგლებს.

- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიფო უნივერისიტეტსა და სამსუნისა უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში თურქოლოგის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები მიემგზავრებიან 2-3 კვირიან ინტერნაციონალურ სტუდენტურ ბანაკებში (შემოდგომ/ზაფხული) სადაც ენობრივ პრაქტიკასთან ერთად ათვალიერებენ თურქული კულტურის ძეგლებს, ეზიარებიან თურქულ კულტურას, ფოლკლორს და ყოფით ელემენტებს, ამავდროულად ახდენენ საკუთრი ქვეყნის პრეზენტირებას.

- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიფო უნივერისიტეტსა და ერზურუმის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში თურქოლოგის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები მიემგზავრებიან 3 კვირიან სტაჟირებაზე თურქული ენის საზაფხულო/ზამთრის კურსებზე, სადაც ისმენენ ლექციებს თურქული ენის, თურქული ლიტერატურის, ისტორიის, კულტურისა და გეოგრაფიის შესახებ.

- TİKA -თურქეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდჭერით სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიფო უნივერისიტეტის თურქოლოგის საბაკალავრო პროგრამის 3 სტუდენტი ყოველ წელს იგზავნება თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში თრქული ენის საზაფხულო სკოლებში, სადაც ენობრივ პრაქტიკასან ერთად ეცნობიან ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს.

ზემოჩამოთვლილი ყველა კურსი სრულად ფინანასდება თურქეთის მხარის მიერ. სტუდენტთა მოკლევადიანი სტაჟირების პროგრამა თურქული ენის ცოდნის საკმაოდ მაღალ დონეს ითხოვს (სტუდენტები ისმენენ თურქულენოვნ ლექციებს, ინტერაქტივში

არიან ცენტრის პროფესურასთან), ამიტომაც, ჩვეულებრივ, ამ პროგრამისთვის სტუდენტები ირჩევიან ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსებიდან თურქულ ენაში მათი აკადემიური დონის მიხედვით.

- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიფო უნივერისიტეტის თურქოლოგის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთვრებულებს, მაგისტრანტობის კანდიდატებს, მაგისტრებსა და დოქტორანტებს საქრთველოში თურქეთის საელჩო და თურქეთის განათლების სამინისტრო საშუალებას აძლევს სწავლა გაარძელონ თურქული უნივერისტეტების მაგისტრატურაში ან/და კვლევითი კომპონენტის ერთი ნაწილი შეასრულონ თურქეთში, ამ უკანასკელისათვის იგი ყოველ წელს გამოყოფს 3 ადგილს (8 თვე), რომლის სრულ დაფინანსებას იღებს საკუთარ თავზე. ეს უნიკალური საშუალებაა თურქოლოგის საბაკალავრო პროგრამის მაგისტრანტობის კანდიდატების, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, ვინაიდან ამ პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსებთან ერთად, სადაც ისინი ეცნობიან თანამედროვე თურქოლოგიის მიღწევებს, მათ საშუალება ეძლევათ იმუშავონ თურქეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში.

- გარდა ზემოაღნიშნული საუნივერსიტეტო აქტივობებისა, თსუ თურქოლოგიის პროგრამების სტუდენტები ინდივიდუალური აქტივობებითაც აღწევენ წარმატებებს - მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საერთაშორისო სასწავლო სტიპენდიების საკონკურსო პროგრამების შესახებ და ეძლევათ რეკომენდაცია, მონაწილეობა მიიღონ ამგვარ კონკურსებში.

- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიფო უნივერისიტეტსა და ყარისის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში (2011 წელი) დაგეგმილია სტუდენტებისა და პროფესორ-მასავლებლების მოკლევადიანი (ერთი სემესტრი) გაცვლითი ხასიათის ვიზიტები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **თურქოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: დამატებით პროგრამა თურქოლოგია/ Turkology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 4 სემესტრი (60 კრედიტი) საბაკალავრო პროგრამაში 60 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 40 კრედიტი - ძირითადი სპეციალობა;
- 20 კრედიტი - არჩევითი კურსები;

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა თურქეთის ისტორიის, თურქული ენობრივი სისტემებისა და ლიტერატურის ისტორიაში, აზიაროს იგი ქართული თურქოლოლოგიური სკოლის ძირითად მიღწევებს და ტენდენციებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები

სწავლის შედეგი:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

- თურქულ ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების პრაქტიკული ფლობა; თურქული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა; კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი. (თურქული

ენა)

- თურქული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ათვისება. თურქული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა; (თურქული ლიტერატ;ურა;ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია; ოსმალური ენა)

- თურქეთის ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა; თურქეთის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება; თანამედროვე აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა. (თურქეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი);თურქეთის თანამედროვე მდგომარეობა)

- ისლამის როგორც რელიგიის და სოციალური ინსტიტუტის ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა. ისლამში რელიგიურ ვალდებულებებისა და თეოლოგიური დოქტრინების, შუა საუკუნეების და თანამედროვე ისლამის ისტორიის საბაზისო ცოდნა. (ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია))

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**
- თურქული ენის პრაქტიკული გამოყენება ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები. (თურქული ენა)

- **დასკვნის უნარი:**

- დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. (თურქული ენა; თურქული ლიტერატურის ისტორია; თურქეთის ისტორია)

- მოპოვებული ან/და მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასების, არგუმენტირებისა და სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. (თურქული ენა; თურქული ლიტერატურის ისტორია; თურქეთის ისტორია; ისლამი)

- **კომუნიკაციის უნარი:**

- ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. (თურქული ენა; თურქული ლიტერატურის ისტორია; თურქეთის ისტორია; ისლამი)

- ჯგუფური მუშაობისას მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა. (თურქული ენა; თურქული ლიტერატურის ისტორია; თურქეთის ისტორია)

- **სწავლის უნარი:**

- სამუშაო დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. (თურქული ენა; თურქული ლიტერატურის ისტორია; თურქეთის ისტორია)

- სიტუაციაში ადაპტირების და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი. (თურქული ენა; თურქული ლიტერატურის ისტორია; თურქეთის ისტორია; ისლამი)

- **ღირებულებები:**

- ტოლერანტობის უნარ-ჩვევები თურქული ლიტერატურის ისტორია; თურქეთის ისტორია; ისლამი)

- ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და აკადემიური ეთიკის უნარ-ჩვევები. (თურქული ენა; თურქული ლიტერატურის ისტორია; თურქეთის ისტორია; ისლამი)

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:
სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

დასაქმების სფეროები:
თურქოლოგიის დამატებითი პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებული იქნება თურქოლოგიის მინიმალური ცოდნისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტთათვის. საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: *თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის* ***ასოცირებული პროფესორი ელისაბედ ბჟალავა***

დამატებითი ინფორმაცია:

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები:

22. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი მარიკა ჯიქი
23. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ელისაბედ ბჟალავა
24. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნანი გელოვანი
25. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მირიან მახარაძე
26. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ნანული კაჭარავა
27. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ლორთქიფანიძე
28. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი თამარ ალფენიძე

მოწვეული პედაგოგები:

7. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ირინე გოცირიძე
8. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნანა ჯანაშია
9. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნუნუ გურგენიძე
10. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ელიდა კვანტალიანი
11. მარინე ყუშიტაშვილი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

თურქოლოგიის განყოფილების კუთვნილი ორი აუდიტორია (104-ე და 105-ე თსუ Vკორპუსში) აღჭურვილია სასწავლო აუდიო/ვიდეო საშუალებებით (მაგნიტოფონი, აუდიო კასეტები, კომპიუტერი, ინტერნეტი, კომპაქტ-დისკები, ტელევიზორი, სატელიტური ანტება); ბიბლიოთეკით, რომელიც სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველწლიურად განიცდის განახლებას თურქეთის რესპუბლიკის საელჩოდან მიღებული სახელმძღვანელოების, სამეცნიერო გამოცემების და პერიოდული პრესის სახით.

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორები უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებულობას ყოველწლიური გაცვლითი პროგრამების შესახებ:

- თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ეგიდით სტუდენტები ყოველ წელს მიემგზავრებიან საზაფხულო ენის კურსებზე სხავასხვა ქალაქებში.
- სამსუნისა და ერზურუმის უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მონაწილეობენ საზაფხულო და საშემოდგომო ინტერნაციონალურ სტუდენტურ ბანაკებში.
- ყარსის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მოკლევადიანი (ერთი სემესტრი) ვიზიტები.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **აღმოსავლეთმცოდნეობა**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **თურქოლოგია**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ასოცირებული პროფესორი ელისაბედ ბჟალავა**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები													
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)													
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი**	**ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება**	**შუალედური გამოცდის/გამოცდების მოსამზადება**	**დასკვნითი გამოცდის მოსამზადება**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თ. გამყრელიძე, ირინე მელიქიშვილი, თინათინ ბოლქვაძე, რუსუდან ასათიანი, ნათელა ქუთელია, ეთერ სოსელია
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან გოჩიტაშვილი;

												გიული შაბაშვილი; ნინო შარაშენიძე.
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დემურ ჯალაღონია, მამუკა ბიჭაშვილი, ირაკლი ბრაჭული. ვალერიან რამიშვილი. ნ. კვარაცხელია, დ. გულიაშვილი მ. ქერქაძე, ნ. გულიაშვილი.
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მიხეილ ბახტაძე, ვაჟა კიკნაძე, ბუბა კუდავა.
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (ევროპული ენები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ინგლისური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ინგლისური ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	გერმანული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი

	გერმანული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ფრანგული ენა A1.1			60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ესპანური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა 2	5		60	45	8	10	2	ესპანური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იტალიური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა 2	5		60	45	8	10	2	იტალიური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	რუსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა 2	5		60	45	8	10	2	რუსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი

	შვედური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	შვედური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	შვედური ენა 2	5		60	45	8	10	2	შვედური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ნორვეგიული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა 2	5		60	45	8	10	2	ნორვეგიული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	პოლონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა 2	5		60	45	8	10	2	პოლონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)	**10**										
	ქართული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ძველი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ძველი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ძველი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა(საფაკულტეტო)	**10**										
	ლათინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ლათინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი

	არაბული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	არაბული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	არაბული ენა 2	5		60	45	8	10	2	არაბული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	სპარსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა 2	5		60	45	8	10	2	სპარსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ებრაული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ებრაული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ებრაული ენა 2	5		60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იაპონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა 2	5		60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ჩინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი სომხური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ირმა რატიანი
	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მარიამ ჩხარტიშვილი.
	შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ვახტანგ ლიჩელი
	შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან ხუციშვილი,
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მაია ციციშვილი

	შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ცირა ბარამიძე, ჯონი კვიციანი
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		თეა შურღაია
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლელა ხაჩიძე, ანა ხარანაული
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა რუსიეშვილი
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლალი ქეცბა-ხუნდაძე
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან გაბუნია
	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რისმაგ გორდეზიანი
	შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		თინა დოლიძე
	შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ანა ჩიქოვანი,
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		წათელა ჭოხონელიძე
	შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ელენე მეძმარიაშვილი
	შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან ჭკუასელი, ეფემია ხარაძე, თამაზ კარანაძე, თინათინ დოლიძე.
სპეციალობის სავალდებულო კურსები – 100 კრედიტი (ECTS)												
	თურქული ენა 1	6	30	90	15	6	5	4	წინაპირობის გარეშე		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 2	6	30	90	15	6	5	4	თურქული ენა 1	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 3	6	30	90	15	6	5	4	თურქული ენა 2		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 4	6	30	90	15	6	5	4	თურქული ენა 3	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 5	6	30	90	15	6	5	4	თურქული ენა 4		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 6	5	30	60	20	6	5	4	თურქული ენა 5	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 7	5	30	60	20	6	5	4	თურქული ენა 6		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ძველი თურქული ლიტერატურის ისტორია	5	30	30	43	8	9	5	თურქული ენა 3	✓		თ. ალფენიძე
	ახალი თურქული ლიტერატურის	5	30	30	43	8	9	5	თურქული ლიტერატურის		✓	თ. ალფენიძე

	ისტორია								ისტორია და ფოლკლორი 1			
	უახლესი თურქული ლიტერატურის ისტორია	5	30	30	43	8	9	5	თურქული ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი 2	✓		თ. ალფენიძე
	თურქეთის ისტორია (შუა საუკუნეები)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. მახარაძე
	თურქეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)	5	30	15	60	8	9	3	თურქეთის ისტორია (შუა საუკუნეები)	✓		მ. მახარაძე
	თანამედროვე თურქეთი (პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. მახარაძე
	თურქულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები	5	30	30	43	8	9	5	თურქული ენა 3	✓		მ. ჯიქია
	თურქულ ენათა შესწავლის შესავალი	5	15	15	75	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. ჯიქია
	სათარჯიმნო პრაქტიკუმი (თურქული ენა)	5		60	45	8	9	3	თურქული ენა 4		✓	ე. ბჟალავა
	ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. გელოვანი
	საბაკალავრო ნაშრომი	10									✓	
სპეციალობის არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)												
	ოსმალური ენა1	5	15	15	73	8	9	5	თურქული ენა 5	✓		ი. გოცირიძე
	ოსმალური ენა2	5	15	15	73	8	9	5	ოსმალური ენა1		✓	ი. გოცირიძე
	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5	15	30	58	8	9	5	თურქული ენა 4	✓		ქ. ლორთქიფანიძე
	ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ. მახარაძე
	აღმოსავლური კულტურა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. გელოვანი
	ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	რ. გაჩეჩილაძე
	ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ი. რატიანი
	ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 1	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი.სანიკიძე

	ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 2	5	30	15	60	8	9	3	ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 1	✓		ი.სანიკიძე
	რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან											
	ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. მახარაძე
	ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)	5	30	30	45	8	9	3	ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)	✓		მ. მახარაძე
	ზოგადი ენათმეცნიერება	5	30	30	45	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი		✓	ნ. ქუთელია, თ. ბოლქვაძე
	ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. ხაჩიძე
	ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2	5	30	30	45	8	9	3	ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1	✓		ნ. სულავა
	აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	რევაზ გორდეზიანი
	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი. კოშორიძე
	ისლამური აღმოსავლეთის ხელოვნება და საქართველო	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ი. კოშორიძე
	ქართული სახისმეტყველება	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რ. სირაძე
	შედარებითი მითოლოგია (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური და ქარული მითოლოგია)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქ. სიხარულიძე
	ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ე. ავალიანი
	მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ.ფუთურიძე
	ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (XVII-XVIIIსს.)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე			ქ. კაკიტელაშვილი მ. ქვრივიშვილი
	ბიბლიის შესავალი 1	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. ბუცხრიკიძე
	ბიბლიის შესავალი 2	5	30	15	60	8	9	3	ბიბლიის შესავალი 1	✓		მ. ბუცხრიკიძე

თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)
სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს ორი საგანი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან ისწავლოს უცხო ენა.

დამატებითი პროგრამა - თურქოლოგია - (60 ECTS კრედიტი)

სავალდებულო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემეტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
	თურქული ენა 1	6	30	90	15	6	5	4	წინაპირობის გარეშე		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 2	6	30	90	15	6	5	4	თურქული ენა 1	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 3	6	30	90	15	6	5	4	თურქული ენა 2		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 4	6	30	90	15	6	5	4	თურქული ენა 3	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა 5	6	30	90	15	6	5	4	თურქული ენა 3	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თანამედროვე თურქეთი (პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. მახარაძე
	ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. გელოვანი
არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)												
	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი											

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი